**კაზუსი №1**

პირი სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილი იქნა უგზო-უკვლოდ დაკარგულად და მის მეგობარს დაევალა მინდობილი საკუთრების სახით მართოს მისი ქონება.

**კითხვა**

1. **რამდენად კანონიერია სასამათლოს გადაწყვეტილება და რატომ?**

**4 ქულა**

**კაზუსი №2**

საქართველოს მთავრობის დადგენილებით , რომელსაც ხმა მისცა მთავრობის წევრთა 2/3 –მა, 2016 წლის 5 აპრილს რატიფიცირებული იქნა საერთაშორისო ხელშეკრულება, დადგენილებას ხელი მოაწერა პრეზიდენტმა.

**კითხვა:**

**1. რამდენად დაცულია ამ შემთხვევაში მოქმედი კანონმდებლობის ნორმები და რატომ?**

2 ქულა

**2. როგორი სახის სამართლებრივი აქტები არსებობს?**

2 ქულა

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

**კაზუსი №3**

რამოდენიმე პირმა (პარტნიორმა) დააფუძნა საზოგადოება, რომელშიც პარტნიორები ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ უშუალოდ და შეუზღუდავად.

**კითხვა:**

1. **რა ტიპის საზოგადოება იქნა დაფუძნებული ამ შემთხვევაში? 2 ქულა**
2. **სულ ცატა რამდენი პარტნიორი უნდა იყოს ასეთ საზოგადოებაში? 1 ქულა**

**კაზუსი №4**

ასოციაცია "ალიონი"-ს დამფუძნებლებს მარეგისტრირებელმა ორგანომ უარი განუცხადა რეგისტრაციაზე იმ მოტივით, რომ განცხადებისათვის დართული დოკუმენტაცია არ არის დადასტურებული სანოტარო წესით და ხარვეზის აღმოსაფხვრელად მისცა 3 დღიანი ვადა.

**კითხვა**

1. **რამდენად კანონიერია მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება და რატომ?**
   **4 ქულა**
2. **ვინ აწარმოებს არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრს?**
   **2 ქულა**

**კაზუსი №5**

ი/მ ლელა დუმბაძემ მოქ. ია კასრაძე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გააფორმა თავის მაღაზიაში გამყიდვლად და შესაბამისი მიღება- ჩაბარების აქტის საფუძველზე ჩააბარა 12.000 ლარის ღირებულების საქონელი. ამასთანავე გააფორმდა ხელშეკრულება მატერილური პასუხისმგებლობის შესახებ.

**კითხვა:**

1. **არის თუ არა მოქ. ია კასრაძე მისთვის გადაცემული საქონლის მფლობელი და რატომ?** **3 ქულა**

**კაზუსი № 6**

ლადო ბერიძემ გამომცემლობასთან დადო ხელშეკრულება თავისი ლექსების კრებულის გამოცემაზე, რომლითაც განსაზღვრულია მის მიერ ჰონორარის მიღება 8,000 ლარის ოდენობით. ბანკში სესხის აღების დროს მან წარადგინა ზემოაღნიშნული ხელშეკრულება და ითხოვა, რათა სესხის უზრუნველსაყოფად დაეგირავებინა ჰონორარის მიღების მოთხოვნა.

კითხვა:

1. **რამდენად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას ამ შემთხვევაში პოეტის წინადადება სესხის უზრუნველსაყოფად ჰონორარის მიღების მოთხოვნის დაგირავების თაობაზე? 3 ქულა**
2. **რა არის საერთო გირავნობასა და იპოთეკას შორის? 3 ქულა**

**კაზუსი №7**

მოქ. ავთანდილ დევიძეს 1999 წელს ს/ს „აგრო ბანკში“ ანაბარზე ჰქონდა 10 000 ლარი . 2000 წელს ავთანდილ დევიძე მოულოდნელად გარდაიცვალა. მისმა ერთად ერთმა მემკვიდრემ არაფერი იცოდა აღნიშნული ანაბრის შესახებ, მაგრამ 2021 წლის თებერვალში მან შემთხვევით გაიგო ანაბრის არსებობის შესახებ და მოთხოვნით მიმართა ბანკს. ბანკში მას განუმარტეს, რომ მაქსიმალური ხანდაზმულობის ვადა 10 წელი, რომელიც დადგენილია სამოქალაქო კოდექსით, გასულია და , შესაბამისად თანხის მოთხოვნის უფლებაც აღარ არსებობს.

**კითხვა: 1. რამდენად შეესაბამება ბანკის განმარტება მოქმედ კანონმდებლობას და რატომ?**

**2 ქულა**

**კითხვა 2. რამდენს შეადგენს სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა?**

**1 ქულა**

**კაზუსი №8**

შპს „ორიონ“-ში სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50% მეტს. ამ ფაქტის გათვალისწინებით საზოგადოების დირექტორმა თენგიზ ბარბაქაძემ განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობა ასეთ შემთხვევაში სავალდებულო წესით ითხოვს საზოგადოების პარტნიორებისგან კრების მოწვევას და სამეთვალყურეო საბჭოს არჩევას.

**კითხვა: 1. რამდენად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას შპს „ორიონ“-ის დირექტორის განმარტება და რატომ?**

4 ქულა

**კაზუსი №9**

შპს "ლიახვმა" გააფორმა ს/ს "მშენებელთან" ნარდობის ხელშეკრულება, რომლითაც ს/ს "მშენებელს" უნდა აეშენებინა სავაჭრო ცენტრი. სამუშაოს დასრულებამდე შპს"ლიახვმა" უარი თქვა ნარდობის ხელშეკრულებაზე.

**კითხვა:**

1. **რა ვალდებულება ეკისრება ამ შემთხვევაში შპს "ლიახვს"?**
   **3 ქულა**
2. **რა ვადებში შეუძლია შემკვეთმა წარადგინოს მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო? 3 ქულა**

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------

**კაზუსი № 10**

კენჭაძემ 2000 კვ.მ მიწის ნაკვეთი აღნაგობის უფლებით გადასცა ნემსაძეს 49 წლის ვადით.

**კითხვა:**

1. **რომელი რიგის უფლებად შეიტანება საჯარო რეესტრში აღნაგობის უფლება?** 3 ქულა
2. **რამდენი წლით შეიძლება გაფორმდეს აღნაგობის უფლებით მიწის გადაცემის ხელშეკრულება?** 3 ქულა

**კაზუსი №11**

ირაკლი თავაძემ ნანა ნემსაძისაგან 9 წლით იჯარით აიღო მიწის ნაკვეთი, რომელზეც 2 ოთახიანი აგურის სახლი ააშენა. იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ირაკლი თავაძემ გადაწყვიტა სახლი დაეშალა და სამშენებლო მასალა გაეყიდა, რაზეც ნანა ნემსაძემ განაცხადა, რომ სახლი მას ეკუთვნის.

**კითხვა:**

1. **რამდენად კანონიერია ნანა ნემსაძის განცხადება და რატომ? 3 ქულა**
2. **რა არის საკუთვნებელი? 3 ქულა**

---

კაზუსი №12

გიგა ავალიანმა ინტერნეტ მაღაზიის კატალოგში ნახა ვიდეო კამერა, რომელიც ძალიან მოეწონა. გიგამ იმავე დღეს გააკეთა მოთხოვნილი ფორმით განაცხადი ვიდეო კამერის შეძენაზე, მაგრამ პასუხი ინტერნეტ მღაზიისაგან ვერ მიიღო.

კითხვა:

1. რა იქნება ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოწვევა ოფერტზე, ოფერტი და აქცეპტი? 3 ქულა
2. როგორ განიხილავს მოქმედი კანონმდებლობა ოფერტზე დაგვიანებით გაკეთებულ აქცეპტს? 3 ქულა

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

-----------------------------------------------------------------------------

**კაზუსი №13**

16 წლის ლერი ნაკაშიძე მუშაობდა ქიმიურ კომბინატში მინერალური სასუქის დაფასოების საამქროში დამსაქმებლის მიერ დამტკიცებული ცვლიანობის განრიგის შესაბამისად. უკიდურესი საწარმოო აუცილებლობის გამო ცვლიანობის განრიგი შეიცვალა, რის თაობაზეც ლერი ნაკაშიძეს ეცნობა 5 დღით ადრე.

**კითხვა:**

1. **რამდენად დაცულია ამ კონკრეტულ შემთხვევაში კანონის მოთხოვნა და რატომ?** 3 ქულა
2. **რამდენ საათზე ნაკლები არ უნდა იყოს ცვლების შორის დასვენების ხანგრძლივობა?** 1 ქულა

**კაზუსი №14**

პაატა ქორიძემ 3 წლით იქირავა ბინა ქეთევან შუბლაძისგან. ქირავნობის ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე დამქირავებელმა საკუთარი ხარჯებით შეაკეთა ორი ონკანი სამზარეულოში, გამოცვალა სახელური საძინებელში და შეაკეთა შემოსასვლელში ტანსაცნლის კარადა. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, საბოლოო ანგარიშსწორებისას, პაატა ქორიძემ მოსთხოვა ქეთევან შუბლაძეს მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

**კითხვა:**

**1. რამდენად კანონიერია გოჩა თარგამაძის მოთხოვნა და რატომ? 2 ქულა**

**2. რა ფორმით უნდა გაფორმდეს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის შეწყვეტა? 2 ქულა**

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

**კაზუსი №15**

მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ნიკა ნუცუბიძემ მიანიჭა ლიკა ცინცაძეს თავისი აგარაკის გაყიდვის უფლებამოსილება, ხოლო 2 კვირის შემდეგ შეცვალა გადაწყვეტილება და გააუქმა ზემოაღნიშნული უფლებამოსილება.

**კითხვა:**

1. **მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რა საფუძვლები არსებობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტისთვის? 3 ქულა**
2. **რა ვალდებულება ეკისრება წარმომადგენელს უფლებამოსილების გაქარწყლებისას? 1 ქულა**

**კაზუსი №16**

ს/ს “კომფორტი”, როგორც მენარდე, აშენებდა შპს “კალო”-ს 4 სართულიან ადმინისტრაციულ შენობას და თავისი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად ს/ს “კომფორტ-” მა მოითხოვა იპოთეკა უკვე აშენებულ შენობის შავ კარკასზე.

**კითხვა:**

1. **შეესაბამება თუ არა ს/ს “კომფორტი”-ს მოთხოვნა მოქმედ კანონმდელობას და რატომ?**

**2 ქულა**

**კაზუსი №17**

უცხოური აუდიტორული ფირმის ფილიალი მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად 2022 წლის 3 თებერვალს გატარდა რეგისტრაციაში სამეწარმეო რეესტრში. რამოდენიმე დღის შემდეგ ფილიალმა დაიწყო აუდიტორული მომსახურების გაწევა ქ. ბათუმში.

**კითხვა:**

1. რის შემდეგ იძენს უცხოური საწარმოს ფილიალი საქართველოში აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებას? 2 ქულა
2. რომელი კატეგორიის საწარმოები და ჯგუფები არიან მოქმედი კანონმდებლობით ვალდებულნი უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/ კონსოლიდი-რებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი? 3 ქულა

**კაზუსი №18**

2018 წლის 1 დეკემბერს ლეკიშვილი მოწმეთა თანდასწრებით შეპირდა გურგენიძეს სესხის სახით 10 000 ლარს 2019 წლის აპრილის თვისთვის. აპრილში გურგენიძემ მოითხოვა ლეკიშვილს დაპირების შესრულება, მაგრამ უარი მიიღო.

**კითხვა:**

**1. შეუძლია თუ არა ლეკიშვილს უარი თქვას სესხის მიცემაზე და რა შემთხვევაში?**

**3 ქულა**

**კაზუსი №19**

ვიტალი კერესელიძემ ისესხა 10 000 აშშ დოლარი ბადრი კაშიასგან და სესხსის უზრუნველსაყოფად დააგირავა ანტიკვარული ავეჯი. მხარეები შეთანხმდნენ, რომ დამგირავებელი არ გაასხვისებს და არ დააგირავებს გირავნობის საგანს გირავნობის უფლების შეწყვეტამდე. დამგირავებელმა აღნიშნული პირობა დაარღვია.

**კითხვა:**

**1. რა უფლება გააჩნია მოგირავნეს, თუ დამგირავებელი დაარღვევს კაზუსში მოყვანილ პირობას? 3 ქულა**

კაზუსი №20

იპოთეკით დატვირთულ შენობასთან დაკავშირებით სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება შენობის იძულებით მართვაზე. გამომდინარე იქედან, რომ ამ შენობაში ცხოვრობდა მოვალე თავის მეუღლესთან ერთად, სასამართლომ დააკისრა მას ქირის გადახდა საბაზრო პირობებით იძულებითი მართვის დაწყების დღიდან.

კითხვა:

1. **რამდენად შეესაბამება სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მოვალისათვის ბინის ქირის გადახდის დაკისრებაზე მოქმედ კანონმდებლობას და რატომ?** 3 ქულა
2. **რა შემთხვევაში უნდა გაუქმდეს იძულებითი მართვა?** 2 ქულა

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

კაზუსი №21

ნუკრი ოდიკაძემ ველოსიპედის ბილიკზე იპოვა ძვირად ღირებული შვეიცარიული საათი და იმავე დღეს ჩააბარა იგი კომპეტენტურ ორგანოს. რამოდენიმე თვის შემდეგ ნივთის მესაკუთრემ დაიბრუნა ნივთი.

**კითხვა: 1. რა მოთხოვნა შეიძლება ჰქონდეს კანონის თანახმად ამ შემთხვევაში ნივთის მესაკუთრის მიმართ ნუკრი ოდიკაძეს?**

**2 ქულა**

**კითხვა: 2. ნაპოვარზე საკუთრების უფლების შეძენის ერთწლიანი ვადა რა შემთხვევაში არ გამოიყენება?**

**2 ქულა**

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

--------------------------------------------------------------------------------

**კაზუსი №22**

ს/ს “ალიონის” აქციონერმა ღლონტმა, რომელსაც ეკუთვნოდა საზოგადოების ჩვეულებრივ აქციათა 20 %, მიჰყიდა თავისი აქციები მოქ. ხინთიბიძეს. ამის გამო საზოგადოების დირექტორმა მიმართა მარეგისტრირებელ ორგანოს ცვლილებების რეგისტრაციის მოთხოვნით. მარეგისტრირებელმა ორგანომ ცვლილებები რეგისტრაციაში არ გაატარა იმ მოტივით, რომ აქციების ნასყიდობის ხელშეკრულება არ იყო დამოწმებული სანოტარო წესით და ხარვეზის აღმოსაფხვრელად განუსაზღვრა განმცხადებელს 30-დღიანი ვადა.

**კითხვა:**

**1. მოიქცა თუ არა მარეგისტრირებელი ორგანო კანონის შესაბამისად და რატომ? 3 ქულა**

**კაზუსი №23**

მოქ. ინგა ლევიძემ მიაქირავა კოტე კეკელიას საცხოვრებელი ბინა. დამქირავებელმა სამი თვის მანძილზე არ გადაიხადა ქირა.

**კითხვა:**

1. **აქვს თუ არა ინგა ლევიძეს გირავნობის უფლება კოტე კეკელიას მიერ ბინაში შეტანილ მოძრავ ნივთებზე და რატომ?** **2 ქულა**

---

**კაზუსი №24**

სალიზინგო კომპანია “ენგურმა” ლიზინგის ხელშეკრულებით გადასცა 5 წლის ვადით სავაჭრო კომპანია “ერგნეთს” სამაცივრო დანადგარები. ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე 2 თვით ადრე კომპანია “ ენგურმა” მოსთხოვა კომპანია “ერგნეთს” ლიზინგის საგნის შესყიდვა, რაზედაც უარი მიიღო იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების დადებისას მხარეებს მასში შესაბამისი დებულება არ შეუტანიათ.

**კითხვა:**

1. **რამდენად კანონიერია ამ შემთხვევაში სავაჭრო კომპანია “ერგნეთს” უარი და რატომ? 2 ქულა**

**კაზუსი №25**

სააქციო საზოგადოება „კერა"-ს დირექტორმა მიიღო გადაწყვეტილება შეეძინა ი/მ „ჯაბა ფარულავა"-სგან კომერციული ფართი წარმოების გაფართოების მიზნით და წერილობითი ფორმით გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება.

**კითხვა:**

**1. რამდენად კანონიერია ამ შემთხვევაში დირექტორის მოქმედება და რატომ?**

**2 ქულა**

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------